სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

15/07/2024

MES 7 24 0000863793

ბრძანება

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ადრეული აღზრდისა და განათლებისან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთა სერტიფიცირების წესით შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2023 წლის 24 თებერვლის №220438 ბრძანებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11 და მე-13 მუხლების საფუძველზე, ცენტრის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2024 წლის 11 ივლისის № 850893 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. 2024 წლის 19 ივლისიდან 2024 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით გამოცხადდეს კონკურსი ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთა სერტიფიცირების წესით შერჩევის მიზნით;
1.1. ადგილების რაოდენობა - 70.
2. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებად განისაზღვროს:
ა) აკადემიური უმაღლესი განათლება (სასურველია განათლების ადმინისტრირების ან ბიზნესის ადმინისტრირების ან საჯარო მმართველობის ან განათლების მეცნიერებების ან სოციალური მეცნიერებების მიმართულებით);
ბ) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და საქმიანობის სპეციფიკის შესაბამისად, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ფუქნციონირების, მასში მიმდინარე პროცესების და სპეციფიკის ცოდნა ან/და განათლების სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების და სპეციფიკის ცოდნა, რაც

დასტურდება ბოლო 10 წლის განმავლობაში არანაკლებ 3-წლიანი სამუშაო გამოცდილებით შესაბამის სფეროში;
გ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
გ.ა.) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, I, III, VI, XII, XVI თავები, მუხლი 106;
გ.ბ) საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“;
გ.გ) საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“;
გ.დ) „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილება, I და II თავი;
გ.ე) „აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ “საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №478 დადგენილება, თავი 2;
გ.ვ) „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილება, თავი 1;
გ.ზ) „ტექნიკური რეგლამენტის – „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილება;
გ.თ) „ტექნიკური რეგლამენტის – ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №485 დადგენილება;
დ) კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Word; Excel; PowerPoint) ცოდნა;
ე) ენების ცოდნა:
ე.ა) სავალდებულოა ქართულ ენაზე გრამატიკულად გამართული წერა და მეტყველება, წერილობითი ანგარიშის შედგენის, დასაბუთებული რეკომენდაციების ჩამოყალიბებისა და პოზიციის დაცვის უზრუნველსაყოფად;
ე.ბ) სასურველია უცხო ენის - ინგლისური, სომხური, აზერბაიჯანული - ფლობა;
ვ) შემდეგი უნარების/პიროვნული თვისებების ქონა:
ვ.ა) მოტივაცია;
ვ.ბ) გუნდური მუშაობა;
ვ.გ) ეფექტური კომუნიკაცია;
ვ.დ) სამართლიანობა;
ვ.ე) პასუხისმგებლობა;
ვ.ვ) დეტალებზე ორიენტირებულობა;
ვ.ზ) ორგანიზებულობა;
ვ.თ) ვადებზე ორიენტირებულობა;
ვ.ი) ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება;
ვ.კ) სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი;
ვ.ლ) კონფლიქტების მართვის უნარი.
3. კანდიდატის მიერ საკონკურსო პირობობებით დადგენილი ეტაპების წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, მას ენიჭება სერტიფიცირებულის სტატუსი ცენტრის დირექტორის მიერ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 5 წლის ვადით და იგი უფლებამოსილია ამ ვადაში, ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 6 თვით ადრე, წერილობითი განცხადებით მიმართოს ცენტრს ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის კვოტით ექსპერტთა კორპუსში შეყვანის მოთხოვნით.

4. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის სტატუსის მქონე ექსპერტთა ჯგუფის წევრის ფუნქციებია:
ა) ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების მიზანთან (ავტორიზაცია, პროგრამის დამატება, მონიტორინგი და ა.შ.) დაკავშირებული ცენტრის მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის შესწავლა და გაანალიზება ვიზიტის განხორციელებამდე;
ბ) შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად შენიშვნების, მოსაზრებების და შეკითხვების მომზადება და ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან გაზიარება, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარესთან შეთანხმებული ფორმით;
გ) ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დღის წესრიგის შედგენაში მონაწილეობის მიღება;
დ) დაწესებულებაში/დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტის პერიოდში, ავტორიზაციის განაცხადში ან სხვა წარმოების ფარგლებში გაკეთებულ განაცხადებში/ანგარიშში ასახული ინფორმაციის რეალობასთან და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის დავალებით შემდეგი აქტივობ(ებ)ის განხორციელება:
დ.ა) მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება;
დ.ბ) დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს ჩატარება;
დ.გ) საჭიროების შემთხვევაში, ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა, დადგენილი წესის შესაბამისად;
დ.დ) ძირითადი მიგნებების შესახებ ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან ინფორმაციის გაზიარება და განხილვა;
დ.ე) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ძირითადი მიგნებების შესახებ ინფორმაციის დასკვნის პროექტში ასახვა;
დ.ვ) საჭიროებიდან გამომდინარე, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისთვის აუცილებელი სხვა აქტივობების განხორციელება;
ე) დასკვნის პროექტის მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
ვ) დასკვნის პროექტზე დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის არგუმენტირებული პოზიციის გაცნობა და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარისთვის საკუთარი მოსაზრების წარდგენა პროექტში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე;
ზ) დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება;
თ) საკუთარი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილვაში მონაწილეობა.
5. შესაბამისი წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ფუნქციებია:
ა) უხელმძღვანელოს ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შეფასების პროცესს;
ბ) დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის დოკუმენტაციის შესწავლისა და ავტორიზაციის სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, უზრუნველყოს ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობების განაწილება, ექსპერტთა ჯგუფის წევრების სტატუსის გათვალისწინებით;

გ) მოახდინოს ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების შეჯამება და ამის გათვალისწინებით შეიმუშაოს ვიზიტის დღის წესრიგი/აცნობოს ცენტრს დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის საჭიროების შესახებ;
დ) ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში შეათანხმოს ვიზიტის დღის წესრიგი ცენტრთან და ვიზიტამდე დაგეგმილ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრისას ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან დეტალურად განიხილოს ვიზიტის ფარგლებში განსახილველი და გამოსაკვლევი საკითხები;
ე) ვიზიტისას უხელმძღვანელოს ინტერვიუირების პროცესსა და შეხვედრებს დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან;
ვ) ვიზიტის ფარგლებში, ყველა მნიშვნელოვანი საკითხის შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, ვიზიტის ყოველი დღე შეაჯამოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან;
ზ) ვიზიტის ბოლოს გააკეთოს შეფასების პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების პრეზენტაცია დაწესებულების/დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წინაშე;
თ) დადგენილ ვადაში ჩამოაყალიბოს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და წარუდგინოს ცენტრს;
ი) ცენტრისგან და დაწესებულებისაგან/დაწესებულების სტატუსის მაძიებლისგან მიღებული უკუკავშირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე ჩამოაყალიბოს ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნა და წარუდგინოს ცენტრს;
კ) წარადგინოს დასკვნის შედეგები ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე და პასუხი გასცეს საბჭოს წევრთა შეკითხვებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
6. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების შერჩევის მიზნით გამოცხადებული კონკურსის ეტაპებად განისაზღვროს:
ა) განაცხადის წარდგენა - 19 ივლისიდან 19 აგვისტოს ჩათვლით;
ბ) განაცხადების გადარჩევა - 06 სექტემბრის ჩათვლით;
გ) კანდიდატთა შეფასება (ტესტირება) - 30 სექტემბრის ჩათვლით;
დ) სპეციალური კურსის გავლა - 25 ოქტომბრის ჩათვლით;
ე) კანდიდატთა შეფასება (გასაუბრება) – 15 ნოემბრის ჩათვლით;
ვ) კომისიის მიერ შერჩეულ კანდიდატთა წარდგენა ცენტრის დირექტორისათვის - 02 დეკემბრის ჩათვლით;
ზ) სერტიფიცირებული სპეციალისტის სტატუსის მინიჭების თაობაზე ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა - 20 დეკემბრის ჩათვლით.
7. კონკურსში მონაწილე კანდიდატი ვალდებულია:
ა) კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი - ავტობიოგრაფია (CV), წარმოადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით;
ბ) შესაბამის ველში ატვირთოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლები.
8. ბრძანების მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნტით განსაზღვრული სამუშაო გამოცდილება და ამავე პუნქტის „დ" ქვეპუნტით განსაზღვრული კომპიუტერული პროგრამების ცოდნა უნდა დასტურდებოდეს წარმოდგენილი ავტობიოგრაფიით (CV). ბრძანების მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის „გ.ა" - „გ.ვ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული სამართლებრივი აქტების ცოდნა შემოწმდება კანდიდატთა შეფასების პირველ ეტაპზე (ტესტირების ეტაპი), ხოლო ამავე პუნქტის „ე" და „ვ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული უნარები/პიროვნული თვისებები შემოწმდება კანდიდატთა შეფასების მეორე ეტაპზე (გასაუბრების ეტაპი).
9. სერტიფიცირების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების მიზნით კანდიდატს შეუძლია მიმართოს სააპელაციო კომისიას წერილობითი ფორმით, გადაწყვეტილების გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

10. საკონკურსო კომისიის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია: საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2; ტელეფონი - (+995 32) 2 202 21 21.
11. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს კონკურსის გამოცხადება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე - www.hr.gov.ge და ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.
12. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა